განკარგულება:**g-81. 81231582**
თარიღი:**07/06/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №31

გაეროს განვითარების პროექტის ,,მოძრავი კინოთეატრი“ პროგრამით მუნიციპალიტეტში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ინფორმაცია გაეროს განვითარების პროექტის ,,მოძრავი კინოთეატრი“ პროგრამით მუნიციპალიტეტში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მიღებული იქნას ცნობად. (თან ერთვის).

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ (მერი ლევან ზალკალიანი, მერის მოადგილე რევაზ ახვლედიანი) მერიის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის ა(ა)იპ ახალგაზრდობის ცენტრის საქმიანობა წარმართოს გაეროს პროექტის ,,მოძრავი კინოთეატრის“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდგომი განხორციელების უზრუნველსაყოფად, ამ კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მოხდეს:

   ა) კინოჩვენებების დაგეგმვა და პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა წლის განმავლობაში.

   ბ) განსაკუთრებით ყურადღება დაეთმოს კინოჩვენებების პროგრამის განხორციელებას ზაფხულის პერიოდში.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი რუსთაველის ქ №69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com